ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №604

ჭიათურა 2012 წ. 15 მარტი

ერთის მხრივ სსიპ „ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფ. ტყემლოვანის საჯარო სკოლა“, შემდგომში „შემსყიდველი“, წარმოდგენილი დირექტორის რუსუდან ბიწაძის სახით და მეორეს მხრივ შპს „სამშენებლო-საპროექტო ჯგუფი – მომავლის პროექტი - პრომო“ (მისამართი, ჭიათურა, ყაზბეგის ქ. №1) შემდგომში „მიმწოდებელი“, წარმოდგენილი მისი დირექტორის პაატა გოგოლაძის სახით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია სსიპ „ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფ. ტყემლოვანის საჯარო სკოლის“ სახსრებით მომსახურების შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

2. შესყიდვის ობიექტი

შესყიდვის ობიექტია ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფ. ტყემლოვანის საჯარო სკოლაში სარემონტო-სამშენებლო სამუშაოების მოცულობების დადგენა და საკალკულაციო ხარჯთაღრიცხვის შედგენა.

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

3.2. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება, რომელშიც შედის მიმწოდებლის ყველა ხარჯები და გადასახადები, განისაზღვრება მთლიანი სახარჯთაღრიცხვო ღირებულების 3%-ის ოდენობით.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით. მიღება-ჩაბარების აქტი დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

6. ანგარიშსწორების ვალუტა, ფორმა, ვადები და ადგილი

6.1. შემსყიდველის მიერ მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.

6.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

6.3. მხარეთა შეთანხმების შემთხვევაში შესაძლებელია მიმწოდებლისათვის სააგანსო თანხის გადახდა.

6.4. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას, აუნაზღაუროს მიმწოდებელს მიწოდებული მომსახურების ღირებულება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის შედგენიდან არაუგვიანეს 90 (ოთხმოცდაათი) საბანკო დღის განმავლობაში.

6.5. ანგარიშსწორების ადგილია ქ. ჭიათურა

7. მხარეთა უფლება მოვალეობანი

7.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს მიწოდებული მომსახურების შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

7.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

- გააფრთხილოს შემსყიდველი მომსახურების მიწოდების პროცესში შეფერხების შესახებ;
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2. ხელშეკრულების გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობა.

8.3. შემსყიდველი უფლებამოსილია მომსახურების მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში დააკისროს მიმწოდებელს საურავი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დროულად მიუწოდებლობის შემთხვევაში მომსახურების ღირებულების 1%-ის ოდენობით.

8.4. გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 1%-ის ოდენობით.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშკრულების ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების საბოლოო შესრულებამდე.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

ნებისმიერი ცვლილება ან დამატება წიმამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ.

11. ფორს-მაჟორი

11.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით გარემოებათა დასრულების შემდეგ.

11.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდება სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

11.3. მხარე, რომელსაც შეექმნება ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს მეორე მხარეს ამის შესახებ.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების შესრულებისას მხარეებს შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13. სხვა პირობები

13.1. არცერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

13.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა, ერთი ეგზემპლიარი ინახება შემსყიდველთან, ხოლო ერთი ეგზემპლიარი – მიმწოდებელთან.

14. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები:

შემსყიდველი

სსიპ „ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფ. ტყემლოვანის საჯარო სკოლა“,

მისამართი: ჭიათურა, სოფ. ტყემლოვანა

საიდენტიფიკაციო კოდი 215606592

დირექტორი: რუსუდან ბიწაძე

მიმწოდებელი

შპს „სამშენებლო-საპროექტო ჯგუფი – მომავლის პროექტი - პრომო“

მისამართი: ქ. ჭიათურა, ყაზბეგის ქ. №1.

ტელ: 790-818919; E-mai: promo.geo@mail.ru

საიდენტიფიკაციო კოდი 215612120.

ს.ს. „პრივატბანკი“-ს ჭიათურის სერვისცენტრი,

ბანკის კოდი CAVOGE22.

ქ. ჭიათურა, პირველი მაისის ქ. №1;

ანგარიშის ნომერი ლარში:

GE77TP0036057000000025;

დირექტორი პაატა ვოგოლაძე